საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზემო ბოლნისი



ზემო ბოლნისი, ძვ. ნასოფლარი, მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მდ. ბოლნისისწყლის (ფოლადაურის) ხეობაში, ბოლნისის სიონის ზემოთ. საცხოვრ. შენობათა ნანგრევებს შორის, ერთმანეთისგან 2–3 კმ დაშორებით, დგას 2 პატარა ერთნავიანი ეკლესია. ერთი მათგანი ნაგებია სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვით. აქვს ორი შესასვლელი – დას-იდან და სამხრ-იდან. დას. შესასვლელის თავზე ჩასმულ ღია მწვანე ფერის ქვაზე ამოკვეთილ ასომთავრულ წარწერაში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგ ბოლნელმა ეპისკოპოსმა იოსებ რევიშვილმა 1651 ააშენა ეკლესია ყიზილბაშთაგან განადგურებულ სოფ. ზ. ბ-ში. წარწერაში მოხსენიებულია კიდევ ორი განადგურებული სოფელი – ახოთი და თალია. მეორე ეკლესია უფრო პატარა და უხეშად ნაწყობია. მის დას. ფასადში ჩართულია მოჩუქურთმებული ქვები.

ლიტ.: Ч у б и н а ш в и л и Г. Н., К вопросу о местонахождении трех Болниси, წგ.: Вопросы истории искусства, т. 1, Тб., 1970.